

მტკიცების თავისებურებანი წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისას
ქართულ სამართალში და მისი მიმართება ევროკავშირის სამართალთან

სალომე ბირკაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში ნაწარმოები უამრავი პროდუქტი ვერ ამართლებს მომხმარებლის გონივრულ მოლოდინს და ხშირ შემთხვევაში ზიანის გამომწვევი მიზეზი ხდება. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი შესაძლებელია აღმოჩნდეს წუნდებული პროდუქტის მიწოდების შედეგად დაზარალებული პირი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულ კანონმდებლობაში წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისას მტკიცების მარეგულირებელი ნორმების ანალიზი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის უფლებებზე და მისი დაცვის მექანიზმებს სათუოს ხდის. ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების განხილვა, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და მისი მიმართება ევროკავშირის სამართლით დადგენილ სტანდარტებთან.

According to market-economy development in Georgia, the legal issue of regulating the damages caused by defective product has become topical question of the day. Goods, which are produced through worldwide and even in Georgia, can't justify the consumers' expectation and they mostly become a reasonable cause of damages. Consequently, each of us may be affected by a defective product. It also should be mentioned that the terms of Georgian legislation, which regulates burden of proof of the damages caused by defective products, allow different interpretation of the content. This has an influence on the consumers' rights and it makes consumers' protection mechanism blurred. In conclusion, all above mentioned clearly indicates the necessity of reviewing national legislation about protection of consumers' rights to identify problematic issues and harmonize them with the standards of Law of European Union.